

წინადადება თემატური ანალიზის განხორციელების პროცედურისა და მეთოდოლოგიის შესახებ

შემუშავებულია დოროთი გროვერის, კაია კუმპას-ლენკისა და ჰელი მატისენის მიერ

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ ცენტრის მიერ დღემდე განხორციელებულ კვლევასა და მომზადებულ პუბლიკაციებს. ცალკეულმა სამსახურებმა ექსპერტებს გაუზიარეს მოსაზრებები თემატურ ანალიზთან დაკავშირებით და ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ თემატური ანალიზების განსახორციელებლად საჭირო პოტენციური საკმარისად დიდია. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია დამოხილვების პროექტის ექსპერტების წინადადება თემატური ანალიზის განხორციელების პროცედურისა და მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც განხილულ უნდა იქნეს მისიის ფარგლებში და უნდა შეიცვალოს ცენტრის საჭიროებებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

1. ზოგადი ნაწილი

ENQA-ს (2020 წლის) ანგარიშის თანახმად, თემატური ანალიზისადმი მიდგომები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ ან ყველა ელემენტს:

- ანალიზის მიზნებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის ამსახველი ანგარიშების სისტემატურად გამოყენება;
- კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილი თემატური ანგარიშები;
- დამატებითი ინფორმაციის შეკრება (ინტერნეტის ან გარე პროექტების მეშვეობით და სხვა მხარეების, როგორცაა ადგილობრივი დაწესებულებები ან უწყებები, შესაძლო ჩართულობით).

თემატური ანალიზების შედეგებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს პოლიტიკისა და პროცესების, მაგალითად, EKKA-ს ანგარიში მოლდოვის რესპუბლიკაში სამართლის სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ, სრულყოფას.

2. ცენტრში თემატური ანალიზების განხორციელების პროცედურა

ქვემოთ აღწერილია ცენტრში თემატური ანალიზების განხორციელების პროცედურა (იხ. აგრეთვე ცხრილი 1).

2.1. კონცეფცია: ცენტრში შეთანხმების მიღწევა თემატური ანალიზის მთავარი პრინციპების შესახებ

ცენტრში თემატური ანალიზის განხორციელებამდე, მნიშვნელოვანია, მიღწეულ იქნეს შეთანხმება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რა სახის თემატურ ანალიზს ატარებს ცენტრი კონკრეტულ პერიოდში (მაგალითად, განათლების ყველა სექტორში მოკლე და გრძელვადიანი თემატური ანალიზების დაგეგმვა);
- როგორია პროცესი - როგორაა შეთანხმებული ანალიზის თემატიკა და ვინ მონაწილეობს ამ პროცესში.

2.2. ყოველწლიური დაგეგმვა სამსახურებში (1): ანალიზის საჭიროების განსაზღვრა-დასაბუთება

ანალიზის განხორციელების საჭიროება არაერთი ფაქტორით შეიძლება იყოს ნაკარნახევი. შესაბამისი ინიციატივა შესაძლებელია ეკუთვნოდეს სამინისტროს, გამომდინარეობდეს დაინტერესებული მხარეების საპასუხო შენიშვნებიდან და კომენტარებიდან, საბჭოს დისკუსიებიდან და განვითარებასთან დაკავშირებული შიდა საჭიროებებიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია, განისაზღვროს და დასაბუთდეს, რა განაპირობებს ანალიზის საჭიროებას და რატომაა მისი განხორციელება მნიშვნელოვანი. როგორია ანალიზის მოსალოდნელი შედეგი?

სასურველია, თითოეულმა სამსახურმა თავი მოუყაროს საჭიროებებს და დაგეგმოს მოკლე ან გრძელვადიანი ანალიზ(ებ)ი.

- მნიშვნელოვანია შეფასებების, აკრედიტაციებისა და ავტორიზაციების შედეგების რეგულარულად შეჯამება; ასევე, შეფასების პროცედურის შესახებ დაინტერესებული მხარეების საპასუხო შენიშვნები და კომენტარები როგორც ექსპერტების მისამართით, ისე ექსპერტების მხრიდან; ასეთი შეჯამება ხელს უწყობს პროცედურებში, ექსპერტებისა და ცენტრის საქმიანობაში, შეფასების კრიტერიუმებში არსებული ხარვეზების გამოვლენასა და თემატური ანალიზის ჩასატარებლად საკითხებისა და მიზნების განსაზღვრას;
- ცენტრმა და მისმა სამსახურებმა უნდა განსაზღვრონ 3 პრიორიტეტული საკითხი და კვლევის საგანი იმ მიმართულებით, რომელიც თითოეული სამსახურის აზრით, არსებითი და გასაანალიზებელია. თემატურ ანალიზთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს აღნიშნული ჩამონათვალის საფუძველზე, ცენტრის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესაბამისად;
- შესაძლებელია, სასარგებლო აღმოჩნდეს ყველა სამსახურის მიერ ანალიზის ერთობლივად განხორციელება, თუ ისინი კვლევის საერთო საგანზე მუშაობენ. მაგალითად, „როგორ შევაფასოთ ექსპერტების საქმიანობის ეფექტურობა?“;
- მნიშვნელოვანია, თემატური ანალიზისათვის შემუშავდეს ანალიზის ყველა ეტაპის მომცველი ერთგვერდიანი გეგმა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ანალიზის შესახებ მთლიანი სურათის შექმნას და უზრუნველყოფს მის თანმიმდევრულობას. ერთგვერდიანი გეგმა შესაძლებელია გამოსადეგი იყოს სამსახურების ხელმძღვანელების მიერ ანალიზისათვის საკითხების შესარჩევად. გეგმა უნდა მოიცავდეს თემატური ანალიზების განხორციელების განრიგს.

2.3. ყოველწლიური დაგეგმვა სამსახურებში (2): ანალიზის განსახორციელებლად საჭირო რესურსების განსაზღვრა

ცენტრის მიერ თემატური ანალიზის განხორციელებასთან დაკავშირებით დასახული მიზნები რეალისტური უნდა იყოს და უნდა ითვალისწინებდეს თითოეული სამსახურის შესაძლებლობებს. კონკრეტულმა სამსახურმა, ანალიზის ჩატარების მიზნით, უნდა შეაფასოს საკუთარი ადამიანური, დროის და ფინანსური რესურსები.

სასურველია, ცენტრმა მიმართოს სინერჯიასა და სამსახურებს შორის მოსაზრებათა ურთიერთგაცვლას, რომ შესაძლებელი იყოს თანამშრომლების ექსპერტული ცოდნის

გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს თანამშრომლების (რეგულარულად) მომზადება.

ექსპერტების რეკომენდაციით, უმჯობესია, თემატურ ანალიზებთან დაკავშირებული ამოცანები ცენტრის შიდა რესურსების გამოყენებით გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი სარგებელს ნაკლებად მიიღებს.

უშუალოდ ანალიზების სიხშირე და ხანგრძლივობა ხარისხის ინდიკატორი არ არის.

2.4. ანალიზის თემატიკასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დირექტორი/საკოორდინაციო საბჭო ღებულობს

წარდგენილი საკითხების, საჭიროებებისა და დასაბუთების საფუძველზე, ანალიზის თემატიკასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დირექტორი/საკოორდინაციო საბჭო ღებულობს.

2.5. თემატური ანალიზის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს სამსახურის ხელმძღვანელი ნიშნავს

თემატურ ანალიზზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ერთი პირი, რომელსაც ანალიზის განხორციელებაში დახმარებას უწევს გუნდი.

ცენტრს/სამსახურს მოეთხოვება ანალიზის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი სტრუქტურის უზრუნველყოფა. მხარდამჭერი სტრუქტურა შესაძლებელია:

- არსებობდეს განსაზღვრული ვადით, რომ შემცირდეს ძირითადი ავტორის ან/და გუნდის სამუშაო დატვირთვა თემატური ანალიზის განხორციელების მიზნით;
- გულისხმობდეს ავტორისათვის ხელმისაწვდომი მენტორის ან/და მეგზურის დანიშვნას, რომელსაც შეუძლია სტრატეგიულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. რეკომენდებულია, დახმარების მისაღებად იმ სამსახურებთან დაკავშირება, რომელთაც ჩატარებული აქვთ ანალიზი და, შესაბამისად, შეუძლიათ სხვა სამსახურის მენტორობა;
- გულისხმობდეს სტრუქტურისათვის საცნობარო შაბლონის/ფორმის შემუშავებას, რომელიც მოიცავს ანალიზის მომზადებასა და წერილობითი ანგარიშის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2.6. თემატურ ანალიზს ახორციელებს და ანგარიშს ამზადებს დანიშნული გუნდი/პირი

შეთანხმებულ საკითხთან დაკავშირებულ თემატურ ანალიზს, ცენტრში არსებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, დანიშნული გუნდი/პირი ახორციელებს.

2.7. ანგარიში განიხილება და გადაიხედება სამსახურის მიერ

სამსახურის პერსონალი უზრუნველყოფს საპასუხო შენიშვნებსა და კომენტარებს ანგარიშის შესახებ, ხოლო შესწორებებზე მუშაობს ანალიზზე პასუხისმგებელი პირი/გუნდი.

2.8. ანგარიში განიხილება და გადაიხედება ცენტრის მიერ

აღნიშნული პირი/გუნდი თემატური ანალიზის შედეგებს წარუდგენს ცენტრს. შედეგები განიხილება და, საჭიროების შემთხვევაში, საპასუხო შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით, ანგარიშში შედის ცვლილებები.

2.9. ანგარიშის დამტკიცება დირექტორის/საკოორდინაციო საბჭოს მიერ

2.10. შედეგების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის


ანალიზის შედეგები, გაზიარების გზით, გამოყენებულ უნდა იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შემდგომი სრულყოფისათვის.

ანალიზის შედეგების გაზიარება სასურველია როგორც ცენტრის ფარგლებში, ისე დაინტერესებული მხარეებისათვის. ანალიზის ვებგვერდზე გამოქვეყნების გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არხებიც:

- ცენტრს შეუძლია ანალიზი წარადგინოს და მისი შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განიხილოს ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში;
- გამოსადეგია საგანმანათლებლო ან სხვა სახის ქსელების საინფორმაციო ბიულეტენები;
- ანალიზის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეროვნულ ან საერთაშორისო კონფერენციებში წვლილის შესატანადაც;
- ცენტრმა შესაძლებელია განიხილოს ანალიზის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზეც, მიმღები პირების სპექტრის გასაფართოებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს ცენტრის ცნობადობის გაზრდას;
- ძალზე ფასეულია დაინტერესებული მხარეებისათვის სემინარების ჩატარება ანალიზის შედეგების განხილვის მიზნით.

2.11. ღონისძიებებისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა ანალიზის შედეგების მიხედვით

სასურველია, ანალიზის შედეგების გაზიარებას მოჰყვეს თანმდევი ღონისძიებების შეთანხმება-განხორციელება.



ცხრილი 1. ცენტრში თემატური ანალიზის განხორციელების პროცედურა

3. გუნდის/პასუხისმგებელი პირის მიერ თემატური ანალიზის განსახორციელებლად საჭირო მეთოდოლოგია

თემატური ანალიზის განსახორციელებელი მეთოდოლოგია თემატური ანალიზის ტიპის მიხედვით განისაზღვრება. წინამდებარე დოკუმენტში მაგალითის სახით მოცემული თემატური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით 5 ლონისძიების მეშვეობითაა აღწერილი (იხ. ცხრილი 2):

3.1. ანალიზის მიზნის აღწერა

აღწერეთ პრობლემა და თემის შერჩევის საფუძველი. რატომაა მართებული ინიცირებული საკითხის შესახებ ანალიზის ჩატარება? წარმოადგინეთ საკითხის მართებულობის მტკიცებულება - გამოიყენეთ შერჩეულ საკითხთან დაკავშირებული შეფასების შესახებ წინა კვლევის ან ანალიზის შედეგები. რას მიგვანიშნებს შედეგების შეფასების შესახებ ჩატარებული წინა კვლევა ან ანალიზი, ან დაინტერესებული მხარეების საპასუხო შენიშვნები და კომენტარები? რა პრობლემები და ხარვეზები შეიძლება აღმოიფხვრას ანალიზით? ვისთვის იქნება ეს ანალიზი ფასეული?

3.2. კვლევის თემისა და საგნის ფორმულირება

შეარჩიეთ კვლევის საგანი და თემა, რომელიც მართებულია დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის, ცენტრისათვის.

- კვლევის საგნის ფორმულირება რაც შეიძლება ზედმიწევნითი და კონცენტრირებული უნდა იყოს. კვლევის საგანს უნდა გააჩნდეს მკაფიო

ორიენტირი და უნდა იყოს სათანადოდ დაკონკრეტებული, რომ შესაძლებელი გახდეს მისი კარგად მოცვა. საკვლევ შეკითხვებზე პასუხი არ უნდა იყოს მარტივი „დიახ“ ან „არა“, ან ადვილად მოსაძიებელი ფაქტები. პირიქით, პასუხის გაცემა უნდა საჭიროებდეს პირის მიერ როგორც კვლევის, ისე ანალიზის განხორციელებას. ასეთი შეკითხვების თავში ხშირად გვხვდება კითხვითი სიტყვები, როგორცაა „როგორ“, „რატომ“ ან „რა“.

კვლევის საგნის ფორმულირებისას გაითვალისწინეთ კვლევის მასშტაბი და ხელმისაწვდომი რესურსები. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა თემატური ანალიზი პირველად ტარდება, ცენტრი უნდა ეცადოს ანალიზის მასშტაბის შეზღუდვას, რომ ის იყოს რეალისტური და შესაძლებელი გახდეს მისი დასრულება. ანალიზის ხანგრძლივობა ხარისხის ინდიკატორი არ არის.

- კვლევის საგნის ფორმულირებისას მხედველობაში იქონიეთ თქვენი მონაცემთა ბაზა. გამოყენებულ მონაცემებს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თემატური ანალიზის ჩატარებისათვის;
- საბოლოო ჯამში, დოკუმენტებისა და მონაცემთა შიდა ბაზების სტრუქტურის განსაზღვრისას თუ შეცვლისას ცენტრმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემების ადვილად მიკვლევადობისა და ანალიზისათვის ხელმისაწვდომობის ასპექტი.

3.3. მონაცემთა ბაზისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა

ანალიზისათვის გათვალისწინებული მონაცემთა ბაზა, ანუ, გამოყენებული მონაცემების სახეობა, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. აღნიშნული უნდა გამოიკვეთოს კვლევაში. იდეალურ შემთხვევაში, მონაცემი ხელმისაწვდომია, თუ შესაძლებელია მისი გაანალიზება თემატური ანალიზისათვის. თუმცა, ხშირად, მონაცემები შესაცვლელი ან თავმოსაყრელია კონკრეტული ანალიზისათვის. ანგარიში უნდა ასახავდეს მონაცემების შეცვლის ფაქტს. ახალი მონაცემები საჭიროებისამებრ უნდა შეგროვდეს.

შეარჩიეთ მეთოდოლოგია მონაცემთა ბაზის ანალიზისათვის. ეს ანალიზი, ნაწილობრივ, მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიის გამჭვირვალედ ასახვას, მაგალითად, სტატისტიკური გაანგარიშებები და თვისებრივი შეფასებები.

გამოყენებული მონაცემები და მეთოდოლოგია კვლევის საგანს უნდა შეესაბამებოდეს.


3.4. ანალიზის განხორციელება

განახორციელეთ ანალიზი და იხელმძღვანელეთ საკვლევ საკითხებით.

3.5. მოამზადეთ ანალიზის ამსახველი ანგარიში

ანალიზის სტრუქტურა მკვლევართა გუნდის ფარგლებში შეათანხმეთ. ანალიზის წერილობითი ფორმა შეთანხმებულ სტრუქტურას უნდა ეფუძნებოდეს. ანგარიშის წერისას გაითვალისწინეთ, თუ ვინ წაიკითხავს მას და უზრუნველყავით ანგარიშის სხვადასხვა ნაწილის თანმიმდევრულობა.

კარგი ანგარიში პრაქტიკული, გამართულად დაწერილი და პრობლემაზე მიმართულია.



ცხრილი 2. თემატურ ანალიზთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებები